

შპს სტრუიკ გრუპ ჯორჯია ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის მცირე და
საშუალო საწარმოების (მსს ფასს) მიხედვით

2020 საანგარიშგებო პერიოდზე.

შინაარსი

- 1.ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
- 2.მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
3. კაპიტალის მოძრაობის ანგარიში
- 4.ფულადი ნაკადების ანგარიშგება
- 5.ფინანსური ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები
6. ფაქტიური და პოტენციური ფინანსური ვალდებულებებ


ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	2020	2019	2018
სულ აქტივი				
სულ გრძელვადიანი აქტივი				
არამატერიალური აქტივები	შენიშვნა 1	40	55	71
ძირითადი საშუალებები	შენიშვნა 1	69,763	135,714	193,625
სულ გრძელვადიანი აქტივი		69,803	135,769	193,696
სულ მოკლევადიანი აქტივი				
მიმდინარე მარაგი		0	1,832	12,840
საგადასახადო აქტივი		64,664	77,243	(0)
გადახდილი ავანსი		222,210	298,035	34,559
სავაჭრო მოთხოვნა	შენიშვნა 2	1,330,452	1,599,318	2,244,557
სასესხო მოთხოვნა		188,099	0	0
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	შენიშვნა 3	186,155	129,317	55,559
სხვა მიმდინარე აქტივები	შენიშვნა 4	3,036,846	3,036,846	3,029,786
სულ მოკლევადიანი აქტივი		5,028,426	5,142,590	5,377,302
სულ აქტივი		5,098,229	5,278,360	5,570,997
სულ კაპიტალი და ვალდებულება				
სულ კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება		133,626	1,884,319	2,175,158
სულ კაპიტალი		133,626	1,884,319	2,175,158
სულ მოკლევადიანი ვალდებულება				
საგადასახადო ვალდებულება		(0)	(0)	33,166
საპენსიო ვალდებულება		918	235	0
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულება	შენიშვნა 5	52,407	50,694	43,068
მეკავშირე საწარმოს მიმართ ვალდებულება	შენიშვნა 6	4,887,273	3,291,454	3,171,913
პერსონალის მიმართ ვალდებულება		0	0	(0)
სავაჭრო ვალდებულება	შენიშვნა 7	0	27,639	147,595
სხვა მოკლევადიანი ვალდებულება		24,005	24,018	98
სულ მოკლევადიანი ვალდებულება		4,964,604	3,394,040	3,395,840
სულ კაპიტალი და ვალდებულება		5,098,229	5,278,360	5,570,997

შპს "სტრუიკ გრუპ ჯორჯია"

დირექტორი:

ედუარდ სტრუიკ




7 - 20-ის ჩათვლით წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

შპს "სტრუიკ გრუპ ჯორჯია"
 2020 წლების დასრულებული პერიოდისთვის
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2020	2019	2018
მიმდინარე წლის მოგება				
სულ საერთო მოგება				
ამონაგები	შენიშვნა 8	906,581	4,980,623	3,430,354
თვითღირებულება	შენიშვნა 9	(818,944)	(4,501,749)	(2,286,119)
სულ საერთო მოგება		87,638	478,874	1,144,235
სულ საოპერაციო მოგება				
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	შენიშვნა 10	(322,122)	(716,657)	(730,518)
საპროცენტო შემოსავალი		88,104	73,713	70,425
სულ საოპერაციო მოგება		(234,018)	(642,944)	(660,093)
სულ არასაოპერაციო მოგება				
კურსთაშორის სხვაობა ნეტო		(1,582,012)	(18,479)	(2,690)
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები		2,206	1,049	3,695
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		(24,508)	(109,338)	(12,300)
სულ არასაოპერაციო მოგება		(1,604,314)	(126,769)	(11,295)
მიმდინარე წლის მოგება		(1,750,694)	(290,838)	472,847

შპს "სტრუიკ გრუპ ჯორჯია"

დირექტორი:

ედუარდ სტრუიკ





შპს "სტრუიკ გრუპ ჯორჯია"
 2020 წლების დასრულებული პერიოდისთვის
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

	კაპიტალის საწყისი ღირებულება	მოგება ზარალი	პარტნიორთა კაპიტალის ცვლილება	კაპიტალის საბოლოო ღირებულება
2018				
დაგროვილი მოგება	1,702,311	472,847	0	2,175,158
საწესდებო კაპიტალი	0	0	0	0
2018	1,702,311	472,847	0	2,175,158
2019				
დაგროვილი მოგება	2,175,158	(290,838)	0	1,884,319
საწესდებო კაპიტალი	0	0	0	0
2019	2,175,158	(290,838)	0	1,884,319
2020				
დაგროვილი მოგება	1,884,319	(1,750,694)	0	133,626
საწესდებო კაპიტალი	0	0	0	0
2020	1,884,319	(1,750,694)	0	133,626

შპს "სტრუიკ გრუპ ჯორჯია"

დირექტორი:
 ედუარდ სტრუიკ




7 - 20-ის ჩათვლით წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.


ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

	2020	2019	2018
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები			
მომხმარებლისგან მიღებული ფული	1,313,398	6,292,398	3,186,043
მომწოდებლისთვის გადახდილი ფული	(908,175)	(4,612,481)	(2,006,362)
თანამშრომლისთვის გადახდილი ფული	(121,268)	(465,557)	(403,811)
სხვა საბიუჯეტო გადასახადი	(188,224)	(863,426)	(604,560)
საპენსიო სააგენტო	(2,820)	(15,586)	0
ავანსის სახით გადახდილი	67,244	(322,557)	(62,116)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	160,155	12,791	109,194
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები			
ძირითადი საშუალების შეძენა	(585)	(3,821)	(115,633)
სასესხო ვალდებულება	0	0	(22,399)
სასესხო მოთხოვნა	(188,099)	0	0
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	(188,684)	(3,821)	(138,032)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები			
სადამფუძნებლო შენატანები	(15,936)	0	0
მიღებული პროცენტი	88,104	73,713	70,425
სავალუტო ცვლილების ეფექტი	13,200	(8,926)	(293)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	85,368	64,787	70,132
ფულადი ნაკადების და მათი ექვივალენტების ნაშთები			
ნაშთი პერიოდის დასაწყისში	129,317	55,559	14,266
ნაშთი პერიოდის ბოლოს	186,155	129,317	55,559
ფულადი ნაკადების და მათი ექვივალენტების ნაშთები	315,472	184,876	69,825

შპს "სტრუიკ გრუპ ჯორჯია"

დირექტორი:

ელდარ სტრუიკ





შპს სტრუიკ გრუპ ჯორჯია ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის მცირე და
საშუალო საწარმოების (მსს ფასს) მიხედვით

2020 საანგარიშგებო პერიოდზე.

შინაარსი

- 1.ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
- 2.მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
3. კაპიტალის მოძრაობის ანგარიში
- 4.ფულადი ნაკადების ანგარიშგება
- 5.ფინანსური ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები
6. ფაქტიური და პოტენციური ფინანსური ვალდებულებებ

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	2020	2019	2018
სულ აქტივი				
სულ გრძელვადიანი აქტივი				
არამატერიალური აქტივები	შენიშვნა 1	40	55	71
ძირითადი საშუალებები	შენიშვნა 1	69,763	135,714	193,625
სულ გრძელვადიანი აქტივი		69,803	135,769	193,696
სულ მოკლევადიანი აქტივი				
მიმდინარე მარაგი		0	1,832	12,840
საგადასახადო აქტივი		64,664	77,243	(0)
გადახდილი ავანსი		222,210	298,035	34,559
სავაჭრო მოთხოვნა	შენიშვნა 2	1,330,452	1,599,318	2,244,557
სასესხო მოთხოვნა		188,099	0	0
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	შენიშვნა 3	186,155	129,317	55,559
სხვა მიმდინარე აქტივები	შენიშვნა 4	3,036,846	3,036,846	3,029,786
სულ მოკლევადიანი აქტივი		5,028,426	5,142,590	5,377,302
სულ აქტივი		5,098,229	5,278,360	5,570,997
სულ კაპიტალი და ვალდებულება				
სულ კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება		133,626	1,884,319	2,175,158
სულ კაპიტალი		133,626	1,884,319	2,175,158
სულ მოკლევადიანი ვალდებულება				
საგადასახადო ვალდებულება		(0)	(0)	33,166
საპენსიო ვალდებულება		918	235	0
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულება	შენიშვნა 5	52,407	50,694	43,068
მეკავშირე საწარმოს მიმართ ვალდებულება	შენიშვნა 6	4,887,273	3,291,454	3,171,913
პერსონალის მიმართ ვალდებულება		0	0	(0)
სავაჭრო ვალდებულება	შენიშვნა 7	0	27,639	147,595
სხვა მოკლევადიანი ვალდებულება		24,005	24,018	98
სულ მოკლევადიანი ვალდებულება		4,964,604	3,394,040	3,395,840
სულ კაპიტალი და ვალდებულება		5,098,229	5,278,360	5,570,997

შპს "სტრუიკ გრუპ ჯორჯია"

დირექტორი:

ედუარდ სტრუიკ

7 - 20 - ის ჩათლით წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

შპს "სტრუიკ გრუპ ჯორჯია"
 2020 წლების დასრულებული პერიოდისთვის
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2020	2019	2018
მიმდინარე წლის მოგება				
სულ საერთო მოგება				
ამონაგები	შენიშვნა 8	906,581	4,980,623	3,430,354
თვითღირებულება	შენიშვნა 9	(818,944)	(4,501,749)	(2,286,119)
სულ საერთო მოგება		87,638	478,874	1,144,235
სულ საოპერაციო მოგება				
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	შენიშვნა 10	(322,122)	(716,657)	(730,518)
საპროცენტო შემოსავალი		88,104	73,713	70,425
სულ საოპერაციო მოგება		(234,018)	(642,944)	(660,093)
სულ არასაოპერაციო მოგება				
კურსთაშორის სხვაობა ნეტო		(1,582,012)	(18,479)	(2,690)
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები		2,206	1,049	3,695
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		(24,508)	(109,338)	(12,300)
სულ არასაოპერაციო მოგება		(1,604,314)	(126,769)	(11,295)
მიმდინარე წლის მოგება		(1,750,694)	(290,838)	472,847

შპს "სტრუიკ გრუპ ჯორჯია"

დირექტორი:

ედუარდ სტრუიკ

შპს "სტრუიკ გრუპ ჯორჯია"
 2020 წლების დასრულებული პერიოდისთვის
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

	კაპიტალის საწყისი ღირებულება	მოგება ზარალი	პარტნიორთა კაპიტალის ცვლილება	კაპიტალის საბოლოო ღირებულება
2018				
დაგროვილი მოგება	1,702,311	472,847	0	2,175,158
საწესდებო კაპიტალი	0	0	0	0
2018	1,702,311	472,847	0	2,175,158
2019				
დაგროვილი მოგება	2,175,158	(290,838)	0	1,884,319
საწესდებო კაპიტალი	0	0	0	0
2019	2,175,158	(290,838)	0	1,884,319
2020				
დაგროვილი მოგება	1,884,319	(1,750,694)	0	133,626
საწესდებო კაპიტალი	0	0	0	0
2020	1,884,319	(1,750,694)	0	133,626

შპს "სტრუიკ გრუპ ჯორჯია"

დირექტორი:
 ედუარდ სტრუიკ

7 - 20-ის ჩათვლით წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

	2020	2019	2018
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები			
მომხმარებლისგან მიღებული ფული	1,313,398	6,292,398	3,186,043
მომწოდებლისთვის გადახდილი ფული	(908,175)	(4,612,481)	(2,006,362)
თანამშრომლისთვის გადახდილი ფული	(121,268)	(465,557)	(403,811)
სხვა საბიუჯეტო გადასახადი	(188,224)	(863,426)	(604,560)
საპენსიო სააგენტო	(2,820)	(15,586)	0
ავანსის სახით გადახდილი	67,244	(322,557)	(62,116)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	160,155	12,791	109,194
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები			
ძირითადი საშუალების შეძენა	(585)	(3,821)	(115,633)
სასესხო ვალდებულება	0	0	(22,399)
სასესხო მოთხოვნა	(188,099)	0	0
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	(188,684)	(3,821)	(138,032)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები			
სადამფუძნებლო შენატანები	(15,936)	0	0
მიღებული პროცენტი	88,104	73,713	70,425
სავალუტო ცვლილების ეფექტი	13,200	(8,926)	(293)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	85,368	64,787	70,132
ფულადი ნაკადების და მათი ექვივალენტების ნაშთები			
ნაშთი პერიოდის დასაწყისში	129,317	55,559	14,266
ნაშთი პერიოდის ბოლოს	186,155	129,317	55,559
ფულადი ნაკადების და მათი ექვივალენტების ნაშთები	315,472	184,876	69,825

შპს "სტრუიკ გრუპ ჯორჯია"

დირექტორი:

ედუარდ სტრუიკ

ფინანსური ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს "სტრუიკ -გრუპ ჯორჯია" (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2016 წლის 6 ოქტომბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მარეგისტრირებული ორგანო სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომრით 405170149 კომპანია რეგისტრირებულია დღგ-ს გადამხდელად 2017 წლის 15 თებერვალს.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, სამგორის რაიონი, ვარკეთილის დას., III მასივი, ზემო პლატო, N33ბ, I სართული: ფაქტიური მისამართი: ქ.ბათუმი ანგისის დასახლება

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ნაპისამაგრი ჯებირების დაყენება, რეკონსტრუქცია, რესტავრაცია

ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის კომპანიის დირექტორებია:

1. ედვარდ სტრუიკ, NT2695P09 /ნიდერლანდები/.
2. ალლარდ სტრუიკ, NTL048902/ნიდერლანდები/.

კომპანიის დამფუძნებელია შეზღუდული პასუხისმგებლობის კერძო კომპანია სტრუიკ სლუფ ენ გრონდვერკენ ბი.ვი., ნიდერლანდები, , 29028126 - 100%-იანი წილის მფლობელი.

კომპანიას არ გააჩნია შვილობილი საწარმოები და კომპანია თავის ფინანსურ ანგარიშგებას წარადგენს დამოუკიდებლად, მას არ გააჩნია კონსოლიდირებული ანგარიშგების მომზადების და წარდგენის ვალდებულება.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთს მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მომავალში მისი ფუნქციონირების ასპექტიდან გამომდინარე, რომელიც გულისხმობს მომსახურებიდან მისაღები შემოსულობების და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში. ამდენად ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს ასახული აქტივების რაიმე კორექტირებას, რომელიც აუცილებელი იქნებოდა, თუ შ.პ.ს სტრუიკ გრუპ ჯორჯია“ საქართველოში ვერ შეძლებდა გაეგრძელებინა თავის ჩვეულებრივი საქმიანობა მომავალში.

COVID 19-ის ვირუსის გავრცელებასთან დაკავშირებით მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში შექმნილი ვითარების გამო, საამშენებლო ინდუსტრია გამოწვევების წინაშე დადგა. კომპანიამ მოახდინა

არსებული სიტუაციის პირობებში სამომავლო პერსპექტივების შეფასება და შედეგად კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არ არსებობს ეჭვი კომპანიის ფუნქციონირებადობასა და კავშირებით დაკავშირებით ანგარიშგების შედგენიდან მომდევნო მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ზოგადი

ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების მიერ კომპანიის ფინანსური მდგომარეობისა და მისი საქმიანობის შედეგების ტენდენციების გაანალიზების მიზნით, შესაძარისობის პრინციპიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ფინანსური ანგარიშგების უწყისებში შეგვეტანა წინა 2019 და 2018 წლების საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ინფორმაცია.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- ა) ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებას.
- ბ) სრული შემოსავლის ანგარიშგებას
- გ) საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგებას დ) ფულადი ნაკადების ანგარიშგებას (პირდაპირი მეთოდით)
- ე) განმარტებით შენიშვნებს.

ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში.

საანგარიშგებო პერიოდს წარმოადგენს სრული კალენდარული წელი.

(ა) უცხოური ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტაა ლარი, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც კომპანია ეწევა საქმიანობას. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები საწყისად აღიარდება ოპერაციის დღის კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით, პირვანდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით.

კურსები საანგარიშო პერიოდის ბოლოს

დოლარი

31.12.2018 – 2.6766

31.12.2019 – 2.8766

31.12.2020 – 3.2766

ევრო

31.12.2018 – 3.0701

31.12.2019 – 3.209

31.12.2020 – 4.0233

(ბ) შემოსავლის აღიარება

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი შემცირებულია მოსალოდნელი უკანდაბრუნებით, მოსალოდნელი ფასდაკლებით და მსგავსი ანარიცხებით.

პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები

პროდუქციის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა: ა) კომპანია მყიდველს გადასცემს პროდუქციის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს; ბ) კომპანია არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს; გ) შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა; დ) მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალ პერიოდში გასაწევი ხარჯების საიმედოდ განსაზღვრა.

მომსახურების გაწვიდან მიღებული შემოსავლები

მომსახურების გაწვიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება როცა დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

- ა) ამონაგების თანხის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ;
- ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში;
- გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ დადგენა, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს;
- დ) შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესრულებისათვის საჭირო დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

(გ) სავაჭრო ვალდებულებები და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მოწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი აქტივები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით. დებიტორულ და ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ სავაჭრო ვალდებულებებს პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო მოთხოვნა-ვალდებულებები გადაანგარიშდება ორგანიზაციის ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით, საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება არასაოპერაციო შემოსავალში ან არასაოპერაციო ხარჯებში. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნავალდებულებების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა

ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებული ან გადასახდელი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი ან შემოსავალი აღიარდება მოგება/ზარალში.

(დ) გადასახადები

დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევის გარდა:

► თუ აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, რა შემთხვევაშიც დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე.

ქონების გადასახადი

ქონების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია, კომპანიის საკუთრებაში არსებული გრძელვადიანი აქტივები, ქონების კუთვნილი გადასახადი გაიანგარიშება წელიწადში ერთხელ ქონების საშუალო წლიური ღირებულებიდან და წელიწადში ერთხელ გასული წლის გადასახადის ოდენობით მიმდინარე გადასახადის სახით.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგებას, რომელიც მიღებული იქნა. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. საქართველოს საგადასახადო კოდექსი ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად, როგორიცაა მაგალითად, არასაბაზრო ფასად შესრულებული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება. ასეთი ოპერაციების დაბეგვრა სცდება ბასს 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ მოქმედების არეალს და 2017 წლის 1 იანვრიდან აღირიცხება საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების მსგავსად.

ე) ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები შედგება სალაროში არსებული ნაღდი ფულისა და საბანკო ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრებისგან. ფულად ექვივალენტებში ჩაირთვება სამ თვემდე დაფარვის მაღალლიკვიდური ინვესტიციები, რომელთა გადაქცევა ფულად ფორმაში შეიძლება ადვილად

და მათი ღირებულების შეცვლის რისკი მინიმალურია.

(ვ) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე

აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ხდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რამე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შედარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება/ზარალში ძირითადი საშუალებების ცვეთა

ცვეთის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, რადგან იგი ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. ცალკეული აქტივის მნიშვნელოვანი კომპონენტები ფასდება და თუ ამ კომპონენტს აქტივის დანარჩენი ნაწილისგან განსხვავებული სასარგებლო გამოყენების ვადა აქვს, მისი ცვეთა განსხვავებულად ხორციელდება. მიწის ცვეთა არ ხდება.

სასარგებლო მომსახურების ვადა:

მანქანა-დანადგარები 5-10 წლამდე

ოფისის აღჭურვილობა 5-10 წლამდე

სატრანსპორტო საშუალება 5-10 წლამდე

აღიარების შეწყვეტა

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი

ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება თუ ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან წმინდა შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) აისახება

სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, აქტივის აღიარების შეწყვეტისთანავე.

აქტივების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება შესაბამისად.

(ზ) არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დარიცხული ამორტიზაცია და გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგები, ასეთის არსებობის შემთხვევაში. არამატერიალური აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადა ფასდება სასრულად და შეზღუდულია 5-15 წლამდე.

სასრული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზება ხდება სასარგებლო გამოყენების ვადის პერიოდში და გაუფასურების ოდენობის დასადგენად გადაფასდება მაშინ, როდესაც რამე მიანიშნებს ამ არამატერიალური აქტივის შესაძლო გაუფასურებაზე. ამორტიზაციის პერიოდი და მეთოდი სასარგებლო გამოყენების სასრული ვადის მქონე არამატერიალური აქტივის შემთხვევაში მინიმუმ ყოველი ანგარიშგების პერიოდის ბოლოს გადაისინჯება. მოსალოდნელი სასარგებლო გამოყენების ვადის ან აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელი ათვისების ცვლილება აღირიცხება ამორტიზაციის პერიოდის ან მეთოდის შესაბამისად შეცვლით და განიხილება, როგორც სადარიცხო შეფასებებში მომხდარი ცვლილება. სასრული ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში არამატერიალური აქტივების ფუნქციების შესაბამის ხარჯის კატეგორიაში. კომპანია არ ფლობს სასარგებლო გამოყენების შეუზღუდავი ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს.

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, როდესაც აქტივის აღიარება წყდება.

(თ) სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა

და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს

შეძენის და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით. მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და, საერთოდ, იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან.

სხვადასხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში.

გასაყიდად გამიზნული მარაგების გაყიდვის თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამის შემოსავალი. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა კი აღიარდება იმ მარაგების თანხის შემცირებად, რომელიც ხარჯადაა აღიარებული პერიოდში, როდესაც მოხდა უკუგატარება.

(ი) მომუშავეთა გასამრჯელო

საწარმო დასაქმებულ პირებზე გადასხდელი გასამრჯელოს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია ხელფასთან, ფასიან შვებულებასთან და ბიულეტენთან, აღიარებს იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც დასაქმებული პირები გასწევენ შესაბამის მომსახურებას. მომუშავეთა მოკლევადიან გასამრჯელოებთან დაკავშირებული გასამრჯელოები ფასდება იმ თანხის არადისკონტირებული ოდენობით, რომლის გადახდასაც საწარმო აპირებს გაწეული მომსახურებისათვის. ვალდებულების სახით აღიარებული მოკლევადიანი გასამრჯელო აღიარდება როგორც ხარჯი, თუ სტანდარტის რომელიმე თავი არ მოითხოვს, რომ გასამრჯელოები ჩაირთოს აქტივის თვითღირებულებაში. ანალოგიურად, ანაზღაურებადი შვებულების ფორმის დასაქმებული პირის მოკლევადიანი გასამრჯელოებისთვის მოსალოდნელი დანახარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც დაფიქსირდება სამუშაოზე არყოფნის ფაქტი.

(კ) ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები, მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში,

თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და

დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

ვალდებულების წარმომშობი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები.

სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);

- კანონმდებლობიდან; ან

- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც: წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიაჩნებს სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და

- შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

(ღ) ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანიას ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებში მოიაზრება ნებისმიერი აქტივი, რომელიც წარმოადგენს: ფულად სახსრებს, სხვა საწარმოს წილობრივ ინსტრუმენტს და სხვა საწარმოსგან ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის მიღების სახელშეკრულებლო უფლებას. ფინანსური აქტივის თვითღირებულების აღიარება ხდება თავდაპირველი აღიარების მომენტში განსაზღვრული ღირებულებით, რომელსაც ემატება თავდაპირველი აღიარების თარიღიდან საანგარიშგებო თარიღამდე დამატებით დარიცხული საპროცენტო შემოსავალი, აკლდება თავდაპირველად აღიარების თარიღიდან საანგარიშგებო თარიღამდე მიღებული ძირისა და პროცენტის თანხები და აკლდება გაუფასურების ზარალის თანხა.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანია არ იყენებდა რაიმე ტიპის სვოპ და ფორვარდულ კონტრაქტებს, სავალუტო და საპროცენტო რისკების შემცირებისთვის.

(მ) ხარჯად აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

საზოგადოება ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ ყველანაირი დანახარჯს აღიარებს როგორც ხარჯს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

(ნ) გარიგებები დაკავშირებულ მხარეებს შორის

წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში მხარეები განიხილებიან დაკავშირებული მხარეების სახით, თუ ისინი იმყოფებიან საერთო კონტროლის ქვეშ, კერძოდ ორივე საწარმოს აკონტროლებს ერთი და იგივე პიროვნება.

თითოეულ დაკავშირებულ მხარეს შორის ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება გამახვილებულ უნდა იქნას უშუალოდ ამგვარი ურთიერთობის არსზე და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმაზე.

(ო) ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

5. მნიშვნელოვანი საადრიცხო შეფასება

„კომპანიის“ ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისაგან მოითხოვს შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგების პერიოდის ბოლოს წარმოდგენილი შემოსავლების, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე

1. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ავეჯი და სხვა ინვენტარი	ლიცენზია	მანქანა დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	ჯამი
2018						
საწყისი საბალანსო ღირებულება	231	0	52,135	9,369	64,195	125,930
სულ ძირითადი საშუალებები	18,695	0	9,595	4,838	81,180	114,308
სულ არამატერიალური აქტივები	0	77	0	0	0	77
სულ ცვეთა	1,429	0	12,926	2,622	29,635	46,612
სულ ამორტიზაცია	0	6	0	0	0	6
ნარჩენი საბალანსო ღირებულება	17,496	71	48,804	11,585	115,740	193,696
2019						
საწყისი საბალანსო ღირებულება	17,496	71	48,804	11,585	115,740	193,696
სულ ძირითადი საშუალებები	(6,580)	0	1,759	(1,273)	(5,313)	(11,407)
სულ ცვეთა	1,804	0	13,924	2,564	28,212	46,505
სულ ამორტიზაცია	0	15	0	0	0	15
ნარჩენი საბალანსო ღირებულება	9,112	55	36,639	7,748	82,215	135,769
2020						
საწყისი საბალანსო ღირებულება	9,112	55	36,639	7,748	82,215	135,769
სულ ძირითადი საშუალებები	(11,728)	0	(11,082)	(11,218)	0	(34,029)
სულ ცვეთა	(2,684)	0	9,384	(4,704)	29,925	31,922
სულ ამორტიზაცია	0	15	0	0	0	15
ნარჩენი საბალანსო ღირებულება	68	40	16,173	1,233	52,289	69,803

ძირითადი საშუალებები არის მატერიალური აქტივები, რომლებიც:

იმყოფება საწარმოს განკარგულებაში და გამოიყენება საქონლის წარმოებაში, საქონლის ან მომსახურების მისაწოდებლად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის; გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად.

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შეძენის ღირებულებას, შეძენაზე დაუბრუნებად გადასახადებს, ასევე პირდაპირი ხარჯებს, ადგილამდე მოწოდებასთან დაკავშირებით სამუშაო მდგომარეობაში მოყვანამდე. კომპანია ცვეთის გაანგარიშგებისთვის იყენებს წრფივ მეთოდს.

„კომპანიას“ ძირითადი საშუალებების სახით ერიცხება სხვადასხვა სპეციფიკის დანადგარები, საოფისე ინვენტარი, კომპიუტერული ტექნიკა. არამატერიალური აქტივი კომპანიას ერიცხება საარქივო პროგრამის სახით. „კომპანია“ საანგარიშგებო პერიოდში სარგებლოს სპეციალური ტექნიკით, რომელიც არ წარმოადგენს კომპანიის საკუთრებას და დროებითი სარგებლობის რეჟიმით ირიცხება კომპანიაში, აქედან გამომდინარე ის არ აისახება კომპანიის აქტივებში.

2. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნა 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019	2018
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1,330,452	1,599,318	2,244,557
	1,330,452	1,599,318	2,244,557

3. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019	2018
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	70,863	94,693	54,392
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	112,277	31,367	961
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	3,015	3,257	206
	186,155	129,317	55,559

ფულის და ფულის ექვივალენტების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ სამართლიან ღირებულებას ანგარიშგების თარიღისთვის. საბანკო ანგარიშებზე ფულადი სახსრების ნაშთების კლასიფიცირება შეიძლება როგორც რისკის გარეშე, მ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც განთავსებულია კომპანიის მიმდინარე ანგარიშები არის საიმედო და ფართოდ ცნობილი ქართული საფინანსო ორგანიზაციები.

4. სხვა მიმდინარე აქტივები

სხვა მიმდინარე აქტივები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019	2018

სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	0	0	0
სხვა წინასწარ გაწეული ხარჯები	7,060	7,060	0
სხვა მიმდინარე აქტივები	3,029,786	3,029,786	3,029,786
	3,036,846	3,036,846	3,029,786

5. მიღებული სესხები

მიღებული სესხები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019	2018
სესხები პარტნიორებისგან	52,407	50,694	43,068
	52,407	50,694	43,068

6. მეკავშირე საწარმოს მიმართ ვალდებულება

მეკავშირე საწარმოს მიმართ ვალდებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019	2018
ვალდებულებები მეკავშირე საწ-ების წინაშე	4,887,273	3,291,454	3,171,913
	4,887,273	3,291,454	3,171,913

7. სავაჭრო ვალდებულება

სავაჭრო ვალდებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019	2018
მოწ.და მომსახ.წარმოქმნილი ვალდებულებები	0	27,639	147,545
მომსახურებები დასაბეგრი ფიზიკური პირები	0	0	50
	0	27,639	147,595

8. ამონაგები

ამონაგები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019	2018
შემოსავალი რეალიზაციიდან	156,441	3,367,494	3,232,532
საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	726,334	1,612,827	189,182

სხვადასხვა მომსახურებები	23,807	303	8,640
	906,581	4,980,623	3,430,354

შ.პ.ს სტრუქ გრუპ ჯორჯია“ , შემოსავლების და ხარჯების აღიარებას ახდებს დარიცხვის მეთოდით სტანდარტების შესაბამისად მსს ფას-ების შესაბამისად.

შემოსავლის ძირითადი წყაროა მოქმედი ხელშეკრულება ნაპირსამაგრი სამუშაოების წარმოებაზე, სადაც ის გამოდის როგორც ქვეკონტრაქტორი კომპანია.

შემოსავლები ფორმირებულია საოპერაციო და არასაოპერაციო შემოსავლებად.

9. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

კომპანიაში შესრულებული სამუშაოს თვითღირებულება განისაზღვრება ყველა იმ დანახარჯით, რომელიც უშუალოდ დაკავშირებული იყო შემოსავლის მიღებასთან.

სხვა ხარჯები ჩართულია საერთო და ადმინისტრაციულ დანახარჯებში .

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019	2018
ძირითადი მასალების დანახარჯები/შეძენა	0	(117,242)	(417,096)
ხიმინჯის მოწყობის სამუშაოები	0	(1,724,317)	(536,374)
გეგმიური დანაკარგი	0	0	0
დამხმარე სამეურნეო საქონლის დანახარჯი	(3,789)	(32,516)	(11,642)
საწვავი და საპოხი საშუალებების ხარჯი	(2,877)	(20,826)	(78,961)
ლიცენზიების მოსაკრებელი	(19,079)	(58,171)	(149,112)
პირდაპირი ხელფასი	(26,967)	(411,212)	(178,400)
სხვადასხვა მომსახურებებზე დანახარჯები	(76,072)	(238,897)	(131,110)
სატრანსპორტო მომსახურების ხარჯები	0	(11,241)	(48,693)
კონტეინერის იჯარა	0	(50,574)	(128,419)
სანებართვო მოსაკრებელი	0	0	(1,851)
სხვადასხვა ტექნიკის საიჯარო დანახარჯები	0	(334,734)	(416,864)
რეალიზებული საქონელი	(690,159)	(1,502,019)	(187,597)
	(818,944)	(4,501,749)	(2,286,119)

10. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019	2018
შრომის ანაზღაურება	(170,807)	(414,840)	(433,137)
მივლინების ხარჯი	0	(445)	0
სოციალური დანარიცხები	(1,753)	(7,899)	0
ოფისის იჯარა	(24,318)	0	(15,516)
საკანცელარიო ხარჯი	(2,074)	(6,848)	(4,212)
დაზღვევა	0	(3,680)	(3,587)

კომპიუტერის ხარჯები	0	0	(144)
ცვეთა და ამორტიზაცია	(50,063)	(49,326)	(46,619)
სხვა საგადასახადო ხარჯი	(1,633)	(48,371)	(52,296)
სხვა საერთო ხარჯი	(71,474)	(185,248)	(175,007)
	(322,122)	(716,657)	(730,518)

6. ფაქტური და პოტენციური ფინანსური ვალდებულებები

საგადასახადო სისტემა

საქართველოში მოქმედებს საგადასახადო კოდექსი, რომელიც ადგენს სამართლებრივ მექანიზმებს გადასახადების დარიცხვასა და გადახდასთან. ძირითადი გადასახადები, რომლებიც ამოიღება საქართველოში არის მოგების გადასახადი, საშემოსავლო გადასახადი ფიზიკური პირებიდან, დღგ, ქონების გადასახადი, მიწის გადასახადი და სხვა გადასახადები.

საგადასახადო დეკლარაციის შედგენის სისწორე მოწმდება საქართველოს სხვადასხვა სახის მაკონტროლებელი ორგანოების მიერ.

ხელმძღვანელობა თვლის, რომ კომპანიის საქმიანობა ხორციელდება კანონთან სრულ შესაბამისობაში იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს შედარებით გაურკვევლობა ამა თუ იმ გადასახადის გადახდასთან დაკავშირებით, დარიცხვები ხორციელდება ხელმძღვანელობის მიერ ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე.

იურიდიული ვალდებულებები

კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში არა აქვს რაიმე სახის იურიდიული ვალდებულება ან მოთხოვნა, რომლის ფარგლებშიც მიმდინარეობს სამართლებრივი დავა.

დაზღვევა

კომპანია საანგარიშო პერიოდში სარგებლობს სადაზღვევო მომსახურებით.

1. ფინანსური რისკის ფაქტორები

სავალუტო რისკი

კომპანიის ოპერაციები ხორციელდება როგორც ეროვნულ ვალუტაში, ისე უცხოურ ვალუტაში. დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები წარმოიქმნება უცხოურ ვალუტაში. ასეთი სიტუაცია იწვევს საკურსო სხვაობის ცვლილებით გამოწვეული რისკების არსებობას. თუმცა დებიტორულ და კრედიტორულ დავალიანებებზე წარმოიქმნება საკურსო სხვაობები, რომლებიც ჩართულია ანგარიშგებებში.

ლიკვიდურობის რისკი

კომპანიის ამოცანაა შეინარჩუნოს ბალანსი უწყვეტი დაფინანსებისა მოქნილობაში, რომელიც წარდგება მომწოდებლებისაგან. კომპანია ახდენს დავალიანებების ვადიანობის ანალიზს და გეგმავს მის ლიკვიდურობას შესასრულებელი ვალდებულებების ვადების შესაბამისად. არასაკმარისი ლიკვიდურობის პირობებში მოიზიდავს დამატებით დაფინანსების წყაროებს.

